საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1044-03
05/08/2024

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის სტუდენტებისთვის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ელი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის 1-ელი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 30 ივლისის N8 სხდომის გადაწყვეტილების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2024 წლის 26 ივლისის N13243-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის სტუდენტებისთვის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე;

3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლას და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი